შიო ხეცურიანი
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე

შიო ხეცურიანი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (PSDA) თავმჯდომარის მოადგილეა 2014 წლის სექტემბრიდან და მართავს და მეთვალყურეობს სამოქალაქო რეესტრის მუშაობას, ცხოვრების ნებართვის, ID ბარათების, პასპორტებისა და სამოქალაქო სერტიფიკატების გაცემას; კურირებს, ასევე, საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მმართველობის პროცესს, სათემო ცენტრების განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობისათვის 200-ზე მეტი კერძო და საჯარო სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ინოვაციური სერვისების ლაბორატორიის მიერ განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც მოქალაქეებისთვის, სხვადასხვა სახელმწიფო და საჯარო ერთეულებისათვის გაუმჯობესებული სერვისების მისაწოდებლად ახალი იდეების დამუშავებასა და წარდგენაზეა ფოკუსირებული. მთლიანობაში, შიო ხეცურიანი ზედამხედველობას უწევს სააგენტოს 1300-მდე თანამშრომელს, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით 75 ტერიტორიულ ოფისში მუშაობენ.

ანა კვანჭილაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი
577 42 20 09
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge

საჯარო სერვისების სააგენტოს თავმჯდომარეობამდე, შიო ხეცურიანი მუშაობდა ჯერ „საქართველოს ბანკში“, შემდეგ - ნიუ-იორკში, საქართველოს გენერალურ საკონსულოში. მრავალმხრივი პროფესიული გამოცდილების პარალელურად, ხეცურიანი ფლობს საბანკო საქმეში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) და ფინანსებში (ბარუჩის კოლეჯი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტი, აშშ) მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

ბოლო წლებში შიო ხეცურიანი ორიენტირებულია საჯარო სექტორის საკითხებზე, მათ შორისაა საქართველოში პოტენციური ინვესტორების მოზიდვა, საჯარო სერვისების შექმნა, განვითარება და მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით სასოფლო არეალში. მისი ინტერესების სფერო მოიცავს ქართული სამგზავრო დოკუმენტის უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყანაში მიგრაციული პროცესების მართვასა და საქართველო-ევროკავშირს შორის ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების მეთვალყურეობასთან.

ანა კვანჭილაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი
577 42 20 09
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge